



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/48

ა. თბილისი

26 ნოემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და  
დიზაინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-04/161 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აკადემიური

საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის №01-05-04/161 დადგენილებით  
გათვალისწინებული ცვლილებები;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით  
დამტკიცებულ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის  
დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:

ა) არქიტექტურული საფუძვლების, თეორიის და სახვითი ხელოვნების აკადემიური  
დეპარტამენტი;

ბ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის აკადემიური  
დეპარტამენტი“;


3. დამტკიცდეს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის  
სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები  
ფაკულტეტის საშტატო განრიგში (დანართი) და აისახოს უნივერსიტეტის საშტატო  
ნუსხაში;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოვიძე